

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”**

**აღმასრულებელი საბჭოს სხდომის**

**ოქმი**

**14 მარტი, 2012წ.**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, ქეთევან ბექაური, ცისმარი ონიანი, ზაზა ბიბილაშვილი, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესო აბაშიძე, გოჩა სვანიძე**

**დღის წესრიგი:**

1. ასოციაციაში გაწევრიანება და ხელახალი გაწევრიანება;
2. ასოციაციის განვითარების სტრატეგიის დამტკიცება;
3. ადვოკატთა ასოციაციის კომიტეტების და კომისიის მუშაობის შესახებ მსჯელობა;
4. სტაჟიორთა რეგისტრაციის ფორმის და სტაჟიორთა რეესტრის დამტკიცება;
5. ზვიად კორძაძის ინიციატივა: იურიდიული პროფესიის მარეგულირებელი კანონების და ადვოკატთა კანონში ცვლილებებზე მომუშავე ჯგუფის შექმნა;
6. ზვიად კორძაძის ინიციატივა: ასოციაციის ბიბლიოთეკის შესახებ საკითხი;
7. ბიბლიოთეკის მუშაობის წესის დამტკიცება;
8. ასოციაციის აპარატის დებულების დამტკიცება;
9. ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის ვადის გაგრძელება მ/წ 6 აპრილამდე;

10. ზაზა ბიბილაშვილის ინიციატივა: საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ადვოკატთა ასოციაციების კონფერენციის ორგანიზება იურიდიული დახმარების საკითხთან დაკავშირებით.

11. სხვადასხვა:

ა. **დალი ახვლედიანის** განცხადება საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ მ/წ ივლისამდე;

ბ. **თამარ კორძიას** განცხადება პირადი განცხადებით წევრობის შეჩერების შესახებ (აქვს 2012 წლის საწევრო დავალიანება);

ც. **გიორგი ამირანაშვილის** განცხადება პირადი განცხადებით წევრობის შეწყვეტის შესახებ (აქვს 2012 წლის საწევრო დავალიანება);

დ. **გიორგი ციხისთავის** განცხადება წევრობის აღდგენის შესახებ (ამჟამად საჯარო მოსამსახურე);

ე. **ელისო ბოგვერაძის** განცხადება საწევრო დავალიანების (500 ლარი) გაუქმების შესახებ. 2006 წელს მის მიერ წარმოდგენილი განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ არ მოიპოვება და წევრობა შეუწყდა 2010 წლის აგვისტოში;

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით.

ა). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ მე-16 მუხლის, 1 პუნქტის *(ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულმა პირმა, რომელსაც სურს გაიაროს სტაჟირება ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროში, განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის ადვოკატს ან საადვოკატო ბიუროს. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ და ამ გადაწყვეტილებას არა უგვიანეს 5 დღისა აცნობებს შესაბამის ადვოკატთა ასოციაციას)* თანახმად, ფიქრია არდიას, ქეთევან ხატიაშვილს და ნინო მხეიძეს გავლილი სტაჟირების ერთწლიანი კურსი არ ჩაეთვალოთ შრომით სტაჟში, ვინაიდან, ადვოკატს არ მოუწოდებია ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციისთვის პირის სტაჟიორად გამწესების შესახებ. შესაბამისად, არ დაკმაყოფილდეს **ფიქრია არდიას, ქეთევან ხატიაშვილის და ნინო მხეიძის** განცხადებები ასოციაციაში გაწევრიანებაზე. გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობოთ აღნიშნულ პირებს.

ბ). დამატებითი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, გაგზავნილ იქნას წერილი რამაზ ასამბაძის შრომითი გამოცდილების შესახებ ცნობის გამცემი ორგანოს მისამართით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე, **რამაზ ასამბაძის** განცხადების განხილვა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაიდოს. განცხადების ავტორს ეცნობოს აღნიშნული ღონისძიების გატარების შესახებ ;

გ). დამატებითი ინფორმაციის მოწოდების მიზნით, გაგზავნილ იქნას წერილი **ირინე ჩოჩიას და ქეთევან ვაშაკიძის** შრომითი გამოცდილების შესახებ ცნობის გამცემი ორგანოს მისამართით. აღნიშნული ინფორმაციის მიღებამდე, **ირინე ჩოჩიას და ქეთევან ვაშაკიძის** განცხადებების განხილვა ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ გადაიდოს. განცხადების ავტორებს ეცნობოთ აღნიშნული ღონისძიების გატარების შესახებ ;

დ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, მე-2 პუნქტის (*ადვოკატი არ შეიძლება იყოს განზრახვი მძიმე დანაშაულისათვის ნასამართლვეი პირი, თუ ნასამართლობა არა აქვს მოხსნილი ან გაქარწყლებული კანონმდებლობით დადგენილი წესით*) და 21-ე მუხლის, მე-3 პუნქტის (*ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძვლებია*) „ა“ ქვეპუნქტის (*იგი ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს*) თანახმად, **თამარ გოგიძეს** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე. აღნიშნულ პირს გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს წერილობით ;

დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილება შეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებოდა საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

ა). არ იქნას განხილული **რეზო ნიჟარაძის** განცხადება ასოციაციაში საწევროს დავალიანების გადანაწილების და ხელახალი გაწევრიანების და შესახებ. განცხადების ავტორს განემარტოს აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ;

2. ასოციაციის განვითარების სტრატეგიის პროექტი დამტკიცებულ იქნას სხდომაზე დასახელებული ცვლილებების გათვალისწინებით (დანართი №1 –სტრატეგიული გეგმა 2010-2013 წლებისთვის);

3. ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელს **ქეთევან ქვარცხავას** და კომერციული სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელს **ზაზა ბიბილაშვილს** გაეგზავნოთ წერილი კუთვნილი კომიტეტების სამუშაო გეგმების წარმოდგენის შესახებ;

4. სტაჟიორთა რეესტრი და სტაჟიორის რეგისტრაციის ფორმა დამტკიცებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი №2, სტაჟიორის რეგისტრაციის ფორმა);

5. იურიდიული პროფესიის მარეგულირებელი კანონებში და ადვოკატთა კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დამტკიცდეს სხდომაზე დასახელებული კანდიდატების სახით, ხოლო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცდეს ზვიად კორძაძის კანდიდატურა;

6. დღის წესრიგის **მეექვსე და მეშვიდე** საკითხების განხილვა გადაიდოს საბჭოს შემდეგ სხდომაზე. მიმდინარე წლის 1 მაისიდან მიღებულ იქნას ბიბლიოთეკარის შტატი (თანამდებობრივი სარგოთი 400 ლარი) აპარატის საშტატო განრიგში და აღნიშნულ ვაკანტურ შტატზე გამოცხადდეს კონკურსი;

7. ასოციაციის აპარატის დებულების განხილვა გადაიდოს საბჭოს შემდეგი სხდომისთვის.

8. ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდებზე რეგისტრაციის ვადა გაგრძელდეს 23 მარტიდან მიმდინარე წლის 6 აპრილამდე.

9. საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის ადვოკატთა ასოციაციების კონფერენციაზე იურიდიული დახმარების საკითხთან დაკავშირებით ასოციაციის წარმომადგენლად დამტკიცდეს ზაზა ბიბილაშვილი.

10.

ა). არ დაკმაყოფილდეს **დადი ახვლედიანის** განცხადება საწევრო გადასახადის გადავადების შესახებ; გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობოს აღნიშნულ პირს.

ბ). დაკმაყოფილდეს **თამარ კორძაიას** განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ და მას წერილობით განემარტოს ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

გ). ცნობად იქნას მიღებული **გიორგი ამირანაშვილის** განცხადება ასოციაციის წევრობის შეწყვეტის შესახებ და მას წერილობით განემარტოს ინფორმაცია აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული ზემოთაღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ;

დ). **გიორგი ციხისთავის** მიერ მიერ წარმოდგენილ იქნას ცნობა ამჟამინდელი სამუშაო ადგილიდან და მისი განცხადების განხილვა განახლდეს საბჭოს შემდეგ სხდომაზე. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს აღნიშნულ პირს.

ე). არ დაკმაყოფილდეს **ელისო ბოგვერაძის** განცხადება საწევრო დავალიანების გაუქმების შესახებ. გადაწყვეტილების შესახებ წერილობით ეცნობოს აღნიშნულ პირს.

**ზაზა ხატიაშვილი**

**ასოციაციის თავმჯდომარე**